

შპს “ლოჯისტიკსი”
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგაროშო
პერიოდისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	11
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	12
1. ზოგადი ინფორმაცია.....	12
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	19
4. ძირითადი საშუალებები.....	19
5. არამატერიალური აქტივები.....	20
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	21
7. საგადასახადო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა.....	21
8. გაცემული სესხები.....	21
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	23
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
12. საწესდებო კაპიტალი.....	23
13. შემოსავალი.....	24
14. სხვა შემოსავალი.....	24
15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	24
16. სხვა ხარჯები.....	25
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	25
18. ფინანსური ხარჯი.....	26
19. დაბეგვრა.....	26
20. ფინანსური და სხვა რისკების მართვა.....	26
23. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	28
24. განუსაზღვრელი ვალდებულებები.....	29
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	29
26. მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები.....	29
27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	29

შპს ლოჯისტიკსი-ს (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდი 215096376 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე
- ინფორმაციის წარდგენაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მსს ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2018 წლის სექტემბერს.

დირექტორი----- გურამი წიწილაშვილი

შპს ლოჯისტიკის-ს (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო კოდი 215096376 ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის. ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე
- ინფორმაციის წარდგენაზე სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მსს ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2018 წლის სექტემბერს.

დირექტორი----- გურამი წიწილაშვილი

შპს „იოანე და კომპანია“

ს/ნ 415086604 ტელ: 555199111 EMAIL: IOANEDACOMPANIA@GMAIL.COM

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლოჯისტიკა“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლოჯისტიკა“ (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. („ფინანსური ანგარიშგება“) აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მმს ფასს) მიხედვით.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში ჩამოთვლილი შესაძლო მიზეზებისა, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს შპს ლოჯისტიკა-ს ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსური მაჩვენებლების და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაზე, სადაც ასახულია ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებით აღიარებით გამოწვეული ცვლილებები და აღნიშნული ცვლილებების გავლენა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია არ არის ამ საკითხთან დაკავშირებით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. სანამ დავიწყებდით აუდიტორულ პროცედურებს, ჩვენ ვერ შევძელით 2016 წლის 1 იანვრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი და საბოლოო ნაშთი ფინანსური შედეგების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით იმის დაგენა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება მარაგებთან,

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-9 შენიშვნაში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად კომპანიას არ შეუფასებია გაცემული სესხები და ფინანსური მოთხოვნები, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9315513 ლარი და 8453012 ლარი (შესაბამისად) წარმოდგენილია თავდაპირველი გარიგების ფასით, მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მე-11 განყოფილების (ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან ამ გადახრის გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე განსაზღვრული არ არის.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 2481434 ლარს (2016 წლის 31 დეკემბერი 2426980 ლარი) (იხ. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 4). კომპანიის მიერ შეფასება მოხდა 2012 წელს. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, მოგვეპოვებინა სამუშაო ფაილები, რის გამოც ვერ შევძელით, შეგვემოწმებინა გადაფასების შედეგის სამართლიანობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვარ გამოვთქმავთ მოსაზრებას ძირითადი საშუალებების გადაფასებული ღირებულებების, ასევე შესაბამისი გადაფასების რეზერვის (რომელიც შეადგენს 510175 ლარს საანგარიშგებო და შესადარისი თარიღისათვის) სისწორის შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა სტანდარტების მიხედვით შემდგომში აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებელი „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

ჩვენ დავადგინეთ, რომ არ არსებობს აუდიტის ძირითადი საკითხი, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს აუდიტში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2017 წლის მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვდგენთ მასზე

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა თანხვედრაში ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან არის თუ არა არსებითად შეუსაბამო აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევლება ამ ფაქტის ინფორმირება.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლო ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და კვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად, რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახვლად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მოცემული მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის ოლეგი ნაჭყებია

შპს იოანე და კომპანიი-ს სახელით

ოლეგი ნაჭყებია -----

ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

30 სექტემბერი 2018

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.


მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მოცემული მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის ოლეგი ნაჭყებია

შპს იოანე და კომპანიი-ს სახელით

ოლეგი ნაჭყებია



ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

30 სექტემბერი 2018

შპს ლოჯისტიკა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		1368807	107699	133740
გადახდილი ავანსები		19525	3464	3663
გაცემული სესხები		9315513	8453012	7699056
მიმდინარე მარაგები		92769	111582	547397
წარმოებული ფინანსური აქტივები		6382368	6401442	6635173
სავაჭრო მოთხოვნები		1527509	1139412	1446132
სხვა საგადასახადო აქტივი		230547	152429	178561
სხვა არამატერიალური აქტივები		3081	2769	2504
ძირითადი საშუალებები		2481434	2426980	2557410
სულ აქტივები		21421553	18798789	19203636
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		59776	125078	286894
გამოუმუშავებელი შემოსავალი		396401	516941	140498
ვალდებულებები და ხარჯების ანარიცხები			4000	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		15404865	15959022	1700857
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		74049	51153	120015
სულ ვალდებულებები		15935091	16656194	2248264
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		976080	976080	976080
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		510175	510175	510175
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		4000207	656340	15469117
სულ საკუთარი კაპიტალი		5486462	2142595	16955372
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		21523663	18798789	19203636

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ლოჯისტექსი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(1 ლარი)

შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1368807	107699	133740
გადახდილი ავანსები	19525	3464	3663
გაცემული სესხები	9315513	8453012	7699056
მიმდინარე მარაგები	92769	111582	547397
წარმოებული ფინანსური აქტივები	6382368	6401442	6635173
სავაჭრო მოთხოვნები	1527509	1139412	1446132
სხვა საგადასახადო აქტივი	230547	152429	178561
სხვა არამატერიალური აქტივები	3081	2769	2504
ძირითადი საშუალებები	2481434	2426980	2557410
სულ აქტივები	21421553	18798789	19203636
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	59776	125078	286894
გამოუმუშავებელი შემოსავალი	396401	516941	140498
ვალდებულებები და ხარჯების ანარიცხები		4000	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	15404865	15959022	1700857
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	74049	51153	120015
სულ ვალდებულებები	15935091	16656194	2248264
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	976080	976080	976080
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	510175	510175	510175
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4000207	656340	15469117
სულ საკუთარი კაპიტალი	5486462	2142595	16955372
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	21523663	18798789	19203636

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ლოჯისტიკა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2017 წელი	2016 წელი
ამონაგები		6053575	5463879
გამოყენებული ნედლეული და მასალები		-64696	-301264
პერსონალის ხარჯები		-1134191	-1466370
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		-45347	-46258
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		-373343	-358893
ცვეთა და ამორტიზაცია		-195599	-168811
იჯარის ხარჯი		-1230560	-1230593
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-511884	-326069
საოპერაციო მოგება		2497955	1565621
სხვა ფინანსური შემოსავალი		1340160	1792991
სხვა ფინანსური ხარჯი		-475030	-425963
მიღებული დივიდენდები			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		3363085	2932649
მოგების გადასახადი		-19218	-403408
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		3343867	2529241
მოგება/(ზარალი)		3343867	2529241

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

შენიშვნა	2017 წელი	2016 წელი
ამონაგები	6053575	5463879
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-64696	-301264
პერსონალის ხარჯები	-1134191	-1466370
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-45347	-46258
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-373343	-358893
ცვეთა და ამორტიზაცია	-195599	-168811
იჯარის ხარჯი	-1230560	-1230593
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-511884	-326069
საოპერაციო მოგება	2497955	1565621
სხვა ფინანსური შემოსავალი	1340160	1792991
სხვა ფინანსური ხარჯი	-475030	-425963
მიღებული დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	3363085	2932649
მოგების გადასახადი	-19218	-403408
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	3343867	2529241
მოგება/(ზარალი)	3343867	2529241

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	976080	510175	15172613	16658868
მსს ფასს გადასვლის შედეგი	0	0	298796	298796
გამოვლენილი შეცდომის შესწორების ეფექტი	0	0	-2292	-2292
დაკორექტირებული ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	976080	510175	15469117	16955372
მოგება/ზარალი			2529241	2529241
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	2529241	2529241
დივიდენდის გამოცხადება			-17342018	-17342018
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	976080	510175	656340	2142595
მოგება/ზარალი			3343867	3343867
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	3343867	3343867
დივიდენდის გამოცხადება				0
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	976080	510175	4000207	5486462

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური
ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბრის შემდეგი პირების
მიერ:

დირექტორი:


12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	976080	510175	15172613	16658868
მსს ფასს გადასვლის შედეგი	0	0	298796	298796
გამოვლენილი შეცდომის შესწორების ეფექტი	0	0	-2292	-2292
დაკორექტირებული ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	976080	510175	15469117	16955372
მოგება/ზარალი			2529241	2529241
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	2529241	2529241
დივიდენდის გამოცხადება			-17342018	-17342018
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	976080	510175	656340	2142595
მოგება/ზარალი			3343867	3343867
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	0	3343867	3343867
დივიდენდის გამოცხადება				0
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	976080	510175	4000207	5486462

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური
ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბრის შემდეგი პირების
მიერ:

დირექტორი:



12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	2017 წელი	2016 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1526599	(193160)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(264843)	(41640)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	19073	174123
სავალუტო კურსის ეფექტი	(19721)	34636
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1261108	(26071)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	107699	133740
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1368807	107699

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	2017 წელი	2016 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1526599	(193160)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(264843)	(41640)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	19073	174123
სავალუტო კურსის ეფექტი	(19721)	34636
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1261108	(26071)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	107699	133740
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1368807	107699

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:



12-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ლოჯისტიკა” (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1998 წლის 9 იანვარს, კომპანიის ძირითადი საქმიანობა საბაჟო ტერმინალის (საწყობი) მომსახურება. ამ დროისათვის კომპანიას დაგროვილი აქვს განსხვავებული პროექტების განხორციელების კომპენტაცია, როგორებიცაა ტვირთების (კონტეინერების) დატვირთვა/ჩამოტვირთვა, დასაწყობება და შენახვა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან :

ვლადიმერ ფრიდმანი -წილის 20.75%

შპს ესპერანსი -წილის 5%

დავით წიწილაშვილი -წილის 20.75%

გურამი წიწილაშვილი -წილის 53.5%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ფოთი ლარნაკას ქ.12.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია.

კომპანიის დირექტორია გურამი წიწილაშვილი. კომპანიის მმართველობის ორგანო პარტნიორთა კრება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების და შეფასების პოლიტიკა

მსს ფასს-ზე გადასვლა

თანმხლები ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, პირველია, რაც კომპანიამ მოაშადა. კომპანიამ მოაშადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკებში. ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. ანგარიშგება მომზადდა პირველად „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება „მსს ფასს-ზე გადასვლა“

მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“-შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

კომპანია წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ადრინდელი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს და „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო საანგარიშგებო პერიოდში. არნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა. კორექტირება შეეხო მხოლოდ ძირითად საშუალებებსა. ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის შეფასდა რეალური ღირებულებით და ეს რეალური

ღირებულება დადგინდა მის დასაშვებ საწყის ღირებულებად ამ თარიღისათვის. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორექტირების თანხები აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაში. კომპანიას არამატერიალურ აქტივებზე მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე არ ქონდა დარიცხული ცვეთა. ეს აშკარა შეცდომაა და გასწორდა რეტროსპექტულად, 2292 ლარის მოგება -ზარალში ასახვით. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის შედეგების ტენდეციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2016 წლის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით- ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედეგის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი მსჯელობა გარდა შეფასებებისა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდათ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე აღიარებულ თანხებზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს 30-ე განყოფილების “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში” მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - “კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება(ზარალი)”

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. სავალუტო მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები. დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

01.01..2016წ

ლარი/1 აშშ დოლარი

2.3949

ლარი/1 ევრო

2.6169

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31.12.2016წ

ლარი/1 აშშ დოლარი

2.6468

ლარი/1 ევრო

2.7940

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

31.12.2017წ

ლარი/1 აშშ დოლარი

2.5922

ლარი/1 ევრო

3.1044

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი ინვესტირების გარეშე.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს საბაჟო ტერმინალზე გაწეული მომსახურებიდან. შემოსავალი მომსახურებიდან შემოსავლად მაშინ აღიარდება, როცა

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში
- ანგარიშგების თარიღისათვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნა შეფასებული, და ოპერაციის დასრულებასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ შეფასებული.

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობების გარეშე.

საპროცენტო შემოსავალი და მოგება(ზარალი)/საკურსო სხვაობიდან

კომპანიის საპროცენტო შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშების ნაშთებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თანხები, რომელიც დარიცხულია გაწეული მომსახურებისთვის, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის მიერ, წარსდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში "სავაჭრო და სხვა მოთხოვნები".

კომპანიის მოგება(ზარალი) საკურსო სხვაობიდან მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც შემოსავალი ან ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

სხვა შემოსავლის აღიარება

გაწეული მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. კომპანია აღიარებს მოთხოვნებს. მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშგებო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწრა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულება პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადაეცემა ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით, გარდა იმ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება.

სესხები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას აღიარდება გარიგების ფასით.

ზოგადად კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით, ანგარიშსწორების თარიღით. ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემულ სესხებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რაც გულისხმობს პირველ წელს ცვეთა ერიცხება აქტივებს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ წლებში საბალანსო ღირებულებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს

გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	ცვეთის %
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	8-20%
საოფისე ტექნიკა და კომპიუტერული მოწყობილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სათადარიგო ნაწილებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექს“-ში მოგების გადასახდის დაბეგრის რეფორმის შესახებ, რომელიც ასევე ცნობილია მოგების

გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელის“ სახელით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. თუ მოხდა მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, როლებიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩაქარი, ხარჯები რომლებიც არა ადაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, ავანსების გადახდა ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებზე და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომლებიც წარდგენილია “ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) “სხვა ხარჯების“ და “ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელის“ მუხლში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელი საგადასახადო ორგანოში როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ-ს ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურების მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით, როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლეები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები,, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისხება ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა,, აისხება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შენარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში

ურთიერთგაქვითვა

აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ანგარიშგებაში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო საფძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. მიხედვით იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, მაგრამ ხელმძღვანელობა დაეწმუნებულია, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია უნდა იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე მოვლენებს.

4. ძირითადი საშუალებები

1 ლარის სიზუსტით	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა და კომპიუტ ერული ტექნიკა	სხვა ამორტიზ ირებადი ძირითად ი საშუალებ ები	დაუმთავ რებელი კაპ. დაზანდებ ა	სულ
რეალური ღირებულება							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14134	964605	422212	240781	4735	910943	2557410
შეძენა	-	-	18744	23625	-	-	42369
გასვლა	-	-	-	(3425)	(123)	-	(3548)
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14134	964605	440956	260981	4612	910943	2596231

შპს ლოჯისტიკა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

შეძენა	-	1694	207904	39897	-	-	249495
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის	14134	966299	648860	300878	4612	910943	2845726
ცვეთა:							
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		48230	84853	35486	682	-	169251
ცვეთა							
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		45841	107633	40980	587	-	195041
ცვეთა							
წმინდა საბალანსო ღირებულება:							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14134	964605	422212	240781	4735	910943	2557410
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14134	916375	356103	225495	3930	910943	2426980
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14134	872228	456374	224412	3343	910943	2481434

5. არამატერიალური აქტივები.

1 ლარის სიზუსტით	საბუღალტრო და სხვა პროგრამები
ისტორიული ღირებულება	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5373
შეძენა	-
გასვლა	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5373
შეძენა	-
გასვლა	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5373
ცვეთა:	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2292
პერიოდის ცვეთა	312
გასულის პერიოდის ცვეთა	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2604
პერიოდის ცვეთა	265
გასულის პერიოდის ცვეთა	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2869
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3081
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2769
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2504

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სათადარიგო ნაწილებს და საწვავ-საცხებ მასალებს, რომლის ძირითადი სახეობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
დიზელის საწვავი	5576	5504	8265
სამშენებლო მასალები	2115	2045	2040
სათადარიგო ნაწილები	43177	65395	477168
სხვა	41902	38639	59924
სულ	92769	111582	547397

7. საგადასახდო აქტივები, გარდა მოგების გადასახადისა

საქართველოს საგადასახდო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახდო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 230547 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახდო აქტივი.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახდო აქტივების და ვალდებულებების ნეტო სიდიდე შეადგენს საგადასახდო აქტივს 152429 ლარის ოდენობით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახდო აქტივების და ვალდებულებების ნეტო სიდიდე შეადგენს საგადასახდო აქტივს 178561 ლარის ოდენობით.

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

N	დასახელება 1 ლარის სიზუსტით	ვალუტა	ნაშთი 01.01.2018
1	შ.პ.ს. "ქართლი პროდქტი"	ლარი	3600
2	შ.პ.ს. "აიბერგი"	ლარი	1032099
3	შ.პ.ს. "აკრილიქსი"	ლარი	187400
4	შ.პ.ს. "გეო მეტალი"	ლარი	186904
5	შ.პ.ს. "გეო მეტალიქსი"	ლარი	250800
6	შ.პ.ს. "გეო მეტალიქსი" (აშშ დოლარი)	ლარი	252532
7	შ.პ.ს. "ეიბი ეს აკრილიქსი"	ლარი	97900
8	შ.პ.ს. "ეიბი ეს აკრილიქსი" (აშშ დოლარი)	ლარი	892372
9	შ.პ.ს. "ეი დი ელ ჯგფი" (აშშ დოლარი)	ლარი	257704

შპს ლოჯისტიკა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

10	შ.პ.ს. "ზღვის პროდუქტები"	ლარი	3068402
11	შ.პ.ს. "ზღვის პროდუქტები" (სესხი აშშ დოლარში)	ლარი	162779
12	ა/შ გელა ლაგვილაძე	ლარი	16690
13	შ.პ.ს. "ორიონი-ფოთის ჯგუფი" (ხელშ. თარ.06.11.2008წ.)	ლარი	278357
14	შ.პ.ს. "ორიონი-ფოთის ჯგუფი" (ხელშ. თარ.15.06.2008წ.)	ლარი	67720
15	შ.პ.ს. "როიალ პაზი"	ლარი	2390
16	შ.პ.ს. "სი ბი ეს ჯგუფი"	ლარი	384703
17	შ.პ.ს. "ფელინ გლობალ"	ლარი	799815
18	შ.პ.ს. "ჯეო ლოჯისტიკი"	ლარი	630
19	შ.პ.ს. "ჯეო თილი"	ლარი	1372715
ჯამი			9315513

არსებული სასესხო ხელშეკრულების თანახმად, სესხის ათვისება ხდება ეტაპობრივად. გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 ლარის სიზუსტით	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1527509	1139412
წინასწარ გადახდილი გადასახადები	230547	152429
გადახდილი ავანსები	19525	3464
სხვა მოთხოვნები		
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1777581	1291841

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს რეზიდენტ ბანკებში (სს “თიბისი ბანკი“, სს “საქართველოს ბანკი“) მიმდინარე ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარში და ევროში არსებულ ფულად სახსრებს.

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
ნაღდი ფული	2569	739	1982
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	95977	13383	46385
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1270260	93577	85373
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1368807	107699	133740

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 ლარის სიზუსტით	31.12.2017	31.12.2016
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	59480	45416
გადასახდელი ხელფასები	74049	51153
სხვა კრედიტორული დავალიანება		
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	133529	96569

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

12. საწესდებო კაპიტალი

სააგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 976080 ლარს.

13. შემოსავალი

ამონაგები 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 ლარის სიზუსტით	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
დღგ 18 %-იანი განაკვეთით დასაბეგრი შემოსავალი საბაჟო ტერმინალზე	716777	1192129
დღგ ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული ბრუნვა საბაჟო ტერმინალზე	5336798	5271750
შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან		
სულ შემოსავალი	6053575	5463879

14. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 ლარის სიზუსტით	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავლები	992394	968665
დადებითი საკურსო სხვაობა	347279	813262
სხვა შემოსავალი	488	11064
სულ შემოსავალი	1340160	1792991

15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017 წელი (ლარი)
ვალდებულება 2017 წლის 1 იანვრისათვის	51153
დარიცხვა წლის განმავლობაში	1134191
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	(1111295)
ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	74049

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს ლოჯისტიკა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

	2016 წელი (ლარი)
ვალდებულება 2016 წლის 1 იანვრისათვის	120015
დარიცხვა წლის განმავლობაში	1466370
გასამრჯელოების გადახდა წლის განმავლობაში	(1535232)
ვალდებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	51153

16. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

I გაწეული მომსახურების თვითღირებულება

1 ლარის სიზუსტით	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება	1014831	1258110
ცვეთა	157037	139929
დაზღვევის ხარჯები (სავალდებულო)	18753	28669
ელექტროენერგიის ხარჯი	362244	347750
საწვავის ხარჯი	17634	17936
საოპერაციო იჯარა	1230560	1230593
სხვა ხარჯი	351060	374077
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	3152119	3397064

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

1 ლარის სიზუსტით	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება	119360	208260
საკანცელარიო ხარჯი	5039	5348
საგადასახადო ხარჯი	45347	46238
ცვეთა და ამორტიზაცია	38562	28882
საბანკო ხარჯი	1284	2131
კომუნიკაციის ხარჯი	11099	11143
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	182810	199193
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	403501	501195

18. ფინანსური ხარჯი

1 ლარის სიზუსტით	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ზარალი (მოგება) საკუროსო სხვაობიდან	466961	385144
სხვა ფინანსური ხარჯი	8069	40319
სულ ფინანსური ხარჯი	475030	425963

19. დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს. ეფექტური მოგების გადასახადის განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმისგან. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა საგადასახადო ზარალი კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით არსებობს განუსაზღვრელობა აღნიშნული საგადასახადო ზარალის 2017 წელში გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი მოგების გადასახადის სისტემასთან დაკავშირებით შესული ცვლილებიდან გამომდინარე, კომპანია 2017 წლიდან ვერ შეძლებს დაგროვილი საგადასახადო ზარალით სარგებლობას. ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტმა არ აღიარა საგადასახადო ზარალთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი.

20. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საბაზრო რისკი (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა საფასო რისკი), საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/ დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში). კომპანია მართავს

და აკონტროლებს საკრედიტო რისკს მომხმარებლებისთვის საკრედიტო ლიმიტების დაწესებით და აღნიშნული ლიმიტების მონიტორინგით.

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, კომპანია გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას.

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე, ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს. ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას:

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან-საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტები.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ა.შ.. საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი
- კონტროლების და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასაწესებლად საჭირო კონტროლების პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციას ახდენს გავლენას.

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა.
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებათ კაპიტალზე დაკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიმდიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

23. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა ან ლიკვიდაციისა და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა საზოგადოების მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზარზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელშეზღუდვებამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

24. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო დავები- 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები კერძო სამართლის სუბიექტებთან. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღის ჩათვლით დამატებით მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

26. მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა, რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 30 სექტემბერს

შპს “ლოჯისტიკა”
მმართველობითი ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგაროშო
პერიოდისთვის

შინაარსი

1.	შესავალი	4
2.	საქმიანობის მიმოხილვა	4
3.	რას ესაქმიანობთ.....	4
4.	უსაფრთხოება.....	5
5.	სამომავლო გეგმები.....	5
6.	ჩვენი გუნდი	5
7.	გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.....	6
8.	პირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	6
9.	ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	7
10.	საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	7
11.	კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა	7

შპს „ლოჯისტიკსი“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო პარტნიორებო და ფინანსური და
მართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდებაა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტის პარალელურად. ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ, შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა კიდევ უფრო გავამყაროთ ის მოპოვებული ნდობა და პატივისცემა რომელიც გაგვაჩნია ჩვენი კლიენტების, პარტნიორების თუ დასაქმებულებისაგან.

მიმაჩნია, რომ შპს „ლოჯისტიკსი“-ს მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს კომპანიის თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

საზოგადოების დირექტორი გურამ წიწილაშვილი

შპს „ლოჯისტიკსი“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო პარტნიორებო და ფინანსური და
მართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავზადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდებაა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტის პარალელურად. ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ, შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა კიდევ უფრო გავამყაროთ ის მოპოვებული ნდობა და პატივისცემა რომელიც გაგვაჩნია ჩვენი კლიენტების, პარტნიორების თუ დასაქმებულებისაგან.

მიმაჩნია, რომ შპს „ლოჯისტიკსი“-ს მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს კომპანიის თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

საზოგადოების დირექტორი გურამ წიწილაშვილი

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი და მომსახურების სტანდარტები, მოიცავს კომპანიის როგორც განვლილ პერიოდს, ასევე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა.

2. საქმიანობის მიმოხილვა

შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“ შეიქმნა 1998 წელს და მას შემდეგ, იგი დღემდე წარმატებით ახორციელებს სატერმინალო მომსახურებას. მას გააჩნია ყველა საჭირო პირობები იმისათვის, რომ კლიენტებს შესთავაზოს მაღალი ხარისხის მომსახურება სწრაფად და ეფექტურად, უზრუნველყოს მათი მოთხოვნები და მაქსიმალურად მოქნილი გახადოს სამუშაო პროცესები.

იგი ძირითადად, ემსახურება საზღვაო ხაზებიდან კონტეინერების მიღებას და საჭიროების შემთხვევაში, ტვირთების გადატვირთვებს და ასევე მათს სამაცივრე საწყობში განთავსება-შენახვას.

შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ს საბაჟო საწყობი მუშაობს 24/7-ზე და ის არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთამაშე სატერმინალო მომსახურების ბაზაზე. კომპანია ორიენტირებულია სერვისის ხარისხზე, სისწრაფეზე და უსაფრთხოებაზე, რაც მთავარი ფაქტორია კლიენტთა ნდობისა და წარმატების მოპოვებისათვის, ამასთანავე კომპანია მუდმივად ისწრაფვის დანერგოს ინოვაციური ინფრასტრუქტურა და მაქსიმალურად აუწყოს ფეხი ახალ გამოწვევებს, რაც მიაწოდოს ისახავს მომხმარებელთათვის მაქსიმალურად და გამარტივებულად ეფექტური სერვისის შეთავაზებას.

3. რას ვსაქმიანობთ

შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“ არის მრავალფუნქციური ტერმინალი, მისი მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებსაც. მას გააჩნია ყველა საჭირო ტექნიკა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რითაც ის უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ სტანდარტებს. ტერმინალზე განთავსებულია 3 ჯოჯგინა ამწე, რომელიც საშუალებას გვაძლევს ტერმინალის ტერიტორიაზე განვათავსოთ მინიმუმ 400 კონტეინერი, აღჭურვილია 140 რეფ-კონტეინერის ჩამრთველით, გააჩნია სარკინიგზო მისასვლელი ხაზები: 340გ/მ და 197 გ/მ; მოწყობილია სარკინიგზო ბაქანი (რამპა), მისი დაცლისა თუ დატვირთვისათვის. ასევე ტერმინალს ტერიტორიაზე გააჩნია დახურული სამაცივრე საწყობი 10000 ტონის მოცულობით, ყავს 11 ერთეული ავტო დამტვირთველი, მათ შორის –2 ერთეული თანამედროვე დონის „ლინდე“-ს ფირმის ბელოტი, რომელთა საშუალებითაც იგი ახდენს მომსახურების მაღალი სტანდარტების შეთავაზებას კლიენტებისადმი. შ.პ.ს „ლოჯისტიკსი“-ს ტერმინალზე ძირითადად ხორციელდება შემდეგი სახის მომსახურება:

1. სავსე და ცარიელი კონტეინერების მიღება-დამუშავება
2. სავსე და ცარიელი კონტეინერების დაცლა-დატვირთვა , როგორც ა/მანქანიდან ასევე სარკინიგზო ვაგონებიდან.
3. ახდენს სავსე და ცარიელი კონტეინერების შენახვას.
4. ახდენს კონტეინერიდან კონტეინერში, კონტეინერიდან სარკინიგზო ვაგონში, კონტეინერიდან ა/მანქანებში და პირიქით ტვირთების გადატვირთვებს.
5. ახდენს ტვირთების დასაწყობება-შენახვას როგორც ღია ასევე სამაცივრე საწყობში
6. საჭიროების შემთხვევაში ახდენს კონტეინერებისა და ტვირთების აწონვებს.

ეს მხოლოდ ის არასრული ჩამონათვალია იმ მომსახურებისა და საქმიანობის რასაც შ.პ.ს „ლოჯისტექსი“ უკვე წლებია სთავაზობს თავის კლიენტებს.

4. უსაფრთხოება

შ.პ.ს „ლოჯისტექსი“-ს საბაჟო ტერმინალი უზრუნველყოფილია ვიდეო კონტროლის კამერებით, რომლებიც განთავსებულია ტერმინალის მთელ ტერიტორიაზე როგორც ყველა შემოსასვლელ-გასასვლელში ასევე საწყობებსა და ყველა გადატვირთვის ადგილებზე. ხდება ვიდეო მასალის ჩაწერა და მისი შენახვა 6 თვის მანძილზე.

შ.პ.ს „ლოჯისტექსი“-ს საწყობში ასევე ფუნქციონირებს დაცვის სპეციალური სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებით, რაც უზრუნველყოფს ტერმინალის მაქსიმალურად უსაფრთხო საქმიანობას და მისი არსებობის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი და პრეტენზია კლიენტების მხრიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მაღალკვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას.

5. სამომავლო გეგმები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ შ.პ.ს „ლოჯისტექსი“ მუდმივად ზრუნავს მისი ბიზნესის განვითარება გაფართოებაზე, ის ახორციელებს ინვესტიციებს და ზრდის მის არეალს, გეგმავს განავითაროს სასაწყობო და სატერმინალო მეურნეობა.

6. ჩვენი გუნდი

შ.პ.ს „ლოჯისტექსი“-ში დასაქმებულია დაახლოებით 200-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულ წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესირსი და ამიტომ

ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის.

კომპანია იზიარებს და იღებს პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ.

7. - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე და გამუდმებით ვცდილობთ, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის მაჩვენებლები. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ჩვენ ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი, სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

9. ინფორმაციას კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
კომპანიას ფილიალები არ ყავს

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია
კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ქონია.

11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა
კომპანიის კვლევები არ უწარმოებია.